



საქართველოს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
 უნივერსიტეტის გამომცემი
გამოდის 1957 წლიდან
 №5 (293) მაისი, 2016 წელი

გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (EMSA) ასამბლეას უმასპინძლა

გვ 3

გაცვლითი პროგრამები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

- პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმების საფუძველზე, გააკალავრების, მაგისტრატის, დოქტორანტის, აკვლავრებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მოხილვა ევროპული ქვეყნების სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- ევროპული უმაღლესი განათლების მიმზიდველობის გაზრდა, სტუდენტთა კარიერული ზრდის და კულტურული ურთიერთობების ხელშეწყობა უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის გზით.
- 2015-2016 წლებში თსუ-ის დაფინანსებული „ერაზმუს+“ პროგრამები (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო მიმართულებები), აქტივობები და შედეგები.

გვ 6

სტუდენტური გვერდი

- სტუდენტური დღეები 2016 დაიწყო
- უცხოელი სტუდენტების ყოველწლიური ფესტივალი თსუ-ში
- წვეულება კლუბ „Senate“-ში
- ხსოვნის კვირეული

გვ 4

თსუ-ის აპოლონ ურუმუაძის სახელობის სტომატოლოგიის კლინიკა

საინტერესო კლინიკური შემთხვევები

ორმა მოზარდმა ერთი და იგივე ჯგუფის კბილებზე (კბილი 2.1 - ზედა ყბის მარცხენა ცენტრალური საჭრელი და 1.1 - ზედა ყბის მარჯვენა ცენტრალური საჭრელი) პრაქტიკულად, მსგავსი კბილის ტრავმები მიიღეს და რენტგენოგრაფიულად კბილის ფესვების მოტეხილობა დაფიქსირდა.

გვ 5

ქართულ-გერმანული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე -

„პაროდონტიტის, პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებების მართვა და ინფექციის კონტროლი სტომატოლოგიაში“

გვ 5

გამოიცა წიგნი გიორგი ბოჭორიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომლის პრეზენტაციაც ახლახან საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.


პროფესორებმა გიორგი, ნანა და რევაზ ბოჭორიშვილებმა წიგნის პრეზენტაციაზე საზოგადოებას ამცნეს თავიანთი გადანყვეტილება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტებისთვის გიორგი ბოჭორიშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

გერმანელი პროფესორები თსუ-ის გივი ფვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში

გვ 2

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა გუნდმა თურქეთში, საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე, საპატიო მეორე ადგილი, თასი და ვერცხლის მედლები მოიპოვა.

გვ 2



პროფესორ მანანა ქუთელიას სსოვნისადმი მიძღვნილი საღამო და დოკუმენტური ფილმის ჩვენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

გვ 7



თსუ-ის დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში

თსუ-ის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიძე, თსუ-ის დელეგაციასთან ერთად, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ნარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, ქირურგიის №2 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გია თარმაძე, ქირურგიის №1 დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ლალი ახმეტელი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, არჩილ უნივერსიტეტი, საქმიანი ვიზიტი იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. დელეგაციამ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ფარგლებში შეხვედრები გამართა აშშ-ის წამყვან სასწავლო და სამეცნიერო უნივერსიტეტებსა და ცენტრებში. ვიზიტის ფარგლებში, ემორის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება (ქ. ატლანტა).

ხელშეკრულების ფარგლებში, ემორის უნივერსიტეტი ვალდებული იქნება იღებს, თსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა უზრუნველყოს მეთოდური და ინტელექტუალური რესურსით, მიიღოს აღნიშნული პროგრამის სტუდენტები კლინიკურ როტაციებსა და სხვა სასწავლო-გაცვლით პროგრამებში. ვიზიტისას გაიმართა შეხვედრები აშშ-ის ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტების სამეცნიერო კლინიკაში, ჯანდაცვის ეროვნული ბიბლიოთეკაში, ვოლტერ რიდის სამედიცინო ცენტრში,

სამხედრო სამედიცინო უნივერსიტეტში (ქ. ვაშინგტონი), საუნივერსიტეტო კლუბსა და ვილე კორნელის სამედიცინო ცენტრში (ნიუ-იორკი). რადიოლოგიის დეპარტამენტში დელეგაცია გაეცნო სამანუალური თერაპიის როლსა და მიღწევებს თანამედროვე მედიცინაში. ჯანდაცვის ეროვნული ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრაზე თსუ-ის დელეგაციამ ამერიკული პროგრამისთვის აშშ ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტების მიერ შექმნილი სამედიცინო ინსტიტუტის და საინფორმაციო ბაზების ხელმძღვანელების გაუმჯობესების კუთხით რეკომენდაციები მიიღო. ნიუ-იორკის საუნივერსიტეტო კლუბში ქართული მხარე შეხვდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის (შეიქმნა აშშ-ის სუთი უიდესი ჯანდაცვის ცენტრის საბაზო) ყოფილი პრეზიდენტი და კოლუმბიის უნივერსიტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის ემერიტუს ხელმძღვანელს, პროფესორ დონალდ კინგს. შეხვედრაზე განიხილეს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა და მიიღეს რეკომენდაციები პათოლოგიის სასწავლო პროგრამის განვითარებისთვის. ვილე კორნელის სამედიცინო ცენტრის დირექტორთან, პროფესორ კემპელ პატერსონთან შეხვედრისას, ქართველმა დელეგატებმა წარადგინეს თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა. შეხვედრაზე მხარეებმა ასევე განიხილეს აკადემიურ და კლინიკურ დარგში ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები.

გერმანული პროფესორები თსუ-ის გვირგვინს სახელობის ჰალიდარის ახალბერილი კლინიკაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გვირგვინის სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას გერმანიის ქალაქ დუსელდორფის ყბა-სახის ქირურგიისა და იმპლანტოლოგიური კლინიკის წამყვანი ექიმი სპეციალისტები, თსუ-ის საპატიო დოქტორები: შელმუტ ზიბერი, ანდრეას ჰამმანერი, ვიქტორ ვაილერტი და მონეული პროფესორი კარსტენ კრაბსი ესტუმრნენ.

გერმანელმა პროფესორებმა კონსულტაცია გაუწიეს 25 პაციენტს ყბა-სახის პათოლოგიებით და ქართველ კოლეგებთან ერთად ჩატარეს ყბა-სახის მიდამოს განვითარების თანდაყოლილი მან-



კის 12 რთული რეკონსტრუქციული ოპერაცია. სამედიცინო მომსახურების პარალელურად, გერმანელმა კოლეგებმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმებისთვის ლექციები წაიკითხეს. გერმანელი პროფესორების სასწავლო-სამეცნიერო ვიზიტი გვირგვინის სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში მიზნად ისახავს საქართველოში თანამედროვე მიდგომების დანერგვასა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. აღნიშნული პროექტი ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელშეწყობით.



თსუ-ის მოვალეობათა გუნდის გამარჯვება



2016 წლის 1-5 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა და ფრენბურთელთა გუნდები ერზრუმის (თურქეთი) ათათურქის სახელობის უნივერსიტეტის მინვეციტი იმყოფებოდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ: ირანის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს გუნდები. სპორტულ შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა თსუ-ის მოჭადრაკეთა გუნდმა და საპატიო მეორე ადგილი, თასი და ვერცხლის მედლები მოიპოვა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ულოცავს მოჭადრაკეთა გუნდს მიღწეულ გამარჯვებას და უსურვებს მომავალ წარმატებებს.

სტუდენტთა საეცნიერო-კვლევითი აკონფერენსი

ახლახან ქუთაისში გაიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი კონფერენცია. ღონისძიებაზე წარმოდგინდა იყო აქტუალური სამეცნიერო ნაშრომები როგორც ზეპირი, ასევე, პოსტერის სახით. ღონისძიებაზე წარმოდგენილი სამეცნიერო

ნაშრომებიდან საუკეთესოები გამოავლინა ფიურნი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან მალალი შეფასება დაიმსახურეს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა: გიორგი ავციანურმა, ოთარ მჭედლიშვილმა, მედეა ბოკუჩავამ, თამარ დადიანიშვილმა, ლევან ცაგარეიამ, ნიკა თარგალაქემი, სუკანია პატიმ, შრი ლამანიმ და სხვ. ლაპორიმ.

საერთაშორისო სამედიცინო-ბაქტერიოლოგიური ცენტრის პროექტების კოორდინატორი, ბატონი უიკერ ლუის მაიკლი, რომელიც შეხვდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი რინა ბერიანიშვილი; ქირურგიის მიმართულების უროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი დავით ქოჩიაშვილი და ბიოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, ბიოფიზიკოსი ბესარიონ ფარცვანიძე, რომელიც წლების მანძილზე ხელ-

მძღვანელობდა მრავალ სამეცნიერო, მათ შორის – ISTC, GNSF და სხვა პროექტებს; არის 80 სამეცნიერო პუბლიკაციის და 1 პატენტის მფლობელი. შეხვედრაზე განიხილეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უროლოგიის დეპარტამენტის მიერ მოპოვებული საერთაშორისო გრანტის – „პროსტატის კიბოს გამოკვლევა ულტრაბირთვით სხივით დახმარებით მისი განვითარების საწყის ეტაპზე“ – მიმდინარეობა და მისი მოსალოდნელი შედეგები. ზემოაღნიშნული პროექტი შესაძლებლობას ქმნის თანამედროვე, მარტივი და ნაკლებხარჯიანი კვლევის მეთოდის გამოყენებით მოხდეს პროსტატის კიბოს ადრეული გამოვლენა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გასაღები

ევროკავშირის მეშვეობით ჩარჩო პროგრამით დაფინანსებული პროექტის – „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი“ - IncoNet Eap-ის მიერ, ჩატარდა პოლიტიკის განმსაზღვრელთა კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა ჯანდაცვის საკითხებს, როგორც ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის სამიზნე მიმართულებას. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის წევრი, ასოცირებული და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლები გადამწყვეტილების მიმღები პო-

ლიტიკის განმსაზღვრელი ორგანიზაციებიდან, სამეცნიერო წრეებიდან და კერძო სექტორიდან. კონფერენციის მონაწილეთა შორის იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოთერაპიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი მაია ოკუჯავა, რომელიც ევროკავშირის ჩარჩო პროგრამის Horizon 2020-ის ეროვნული საკონტაქტო პირია საქართველოში ჯანმრთელობის დარგში. კონფერენციაზე შემუშავდა არაერთი რეკომენდაცია ჯანმრთელობის კვლევისა და ინოვაციის მიმართულებით ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გასაღები

საერთაშორისო კონფერენცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა „სპორტული მედიცინის მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია“. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის დარგში მოღვაწე ექიმები, რეზიდენტები, სტუდენტები, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. კონფერენცია გახსნა საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტმა ვალერი ახალკაცმა. დამსწრე საზოგადოებას

მიესალმნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი. ღონისძიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს დიდი ბრიტანეთის, მოლდოვას, გერმანიის, ესტონეთის, რუსეთის წამყვანმა სპეციალისტებმა. ღონისძიება მიმდინარეობდა სპორტული მედიცინის უახლეს მიღწევებსა და დარგის აქტუალურ საკითხებს.

სტუმრად გირნეს ამერიკულ უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, გიორგი აბესაძე, სტუმრად იმყოფებოდა გირნეს ამერიკულ უნივერსიტეტში, რომელთანაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები გირნეს ამერიკული უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ქუთაბა ოზთურგთან, მეცნიერებათა და ტექნოლოგიების დარგში ვიცე-რექტორთან, პროფესორ ზაფერ აგდელთან, კანცლერის საბჭოს წევრთან, ასოცირებულ პროფესორ ჰოსეინ სარდისთან, ასევე სამედიცინო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, პროფ-

სორ აშქეტ ბასუსტაოლუსთან. მიმდინარე წელს დაგეგმილია გირნეს ამერიკული უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში.



პარტნიორობის ფარგლებში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხო ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო აბრალავა სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა მიუნხენში (გერმანია) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ევროპის უნივერსიტეტთა ენების ცენტრების გაერთიანებას (AKS UNICERT) შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში განსაზღვრული თანამშრომლობის სამომავლო გეგმების განსახილველად. აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხო ენების დეპარტამენტმა 2016-2017 წლებში ევრო-

პის უნივერსიტეტთა ენების ცენტრების გაერთიანებაში უნდა გაიაროს UNICERT-ის აკრედიტაცია. შეხვედრაზე, აკრედიტაციის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების და საბოლოო კონსულტაციების გადის მიზნით, განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის შემდეგი ასპექტები: 2016-2017 სასწავლო წლის პროექტები, აკრედიტაციის გასაუქმებლად მზადების პროცესის დეტალები, ტესტირების ანალიზი, შეფასების კრიტერიუმები; ასევე, ინგლისურ და გერმანულ ენებში, როგორც ზოგად, ასევე, დარგობრივ ენებში, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები.

საერთაშორისო კონფერენცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნინო ქიქოძე ოფიციალური მინვეციტი იმყოფებოდა ქ. მაინცში (გერმანია) სიმსივნის იმუნოთერაპიის ასოციაციის (CIMT) XIV საერთაშორისო კონფერენციაზე – „სიმსივნის იმუნოთერაპია“, სადაც სამეცნიერო საზოგადოების წინაშე წარდგა მოხსენებით – „რადიოსიხშირული თერაპიული აბლაციის გავლენა CD4+ T უჯრედების სუბპოპულაციებზე ლიმფის სიმსივნის მქონე პაციენტებში“. სამეცნიერო კონფერენციაზე მსოფლიოს მრავ-

ალი ქვეყნის 1000-ზე მეტმა მონაწილემ ერთმანეთს გაუზიარა სიმსივნის იმუნოთერაპიის გარემოში არსებული უახლესი კვლევითი ინფორმაცია. პლენარულ სესიებზე მოხსენება წარმოადგინა 23-მა სპიკერმა, სატელიტურ-ინფორმაციულ სიმპოზიუმზე – 5-მა სპიკერმა. საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 300-ზე მეტი აბსტრაქტი, 2 პოსტერული სესია და 33 მოკლე მოხსენება. სიმსივნის იმუნოთერაპიის ასოციაციის (CIMT) XIV საერთაშორისო კონფერენცია საინტერესო იყო აღნიშნულ სფეროში მომუშავე თითოეული დელეგატისთვის.

თსუ წალს 157-მა უცხოელმა სტუდენტმა დაამთავრა

2016 წლის 18 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უცხოელ სტუდენტებს, რომლებმაც სასწავლო კურსი წარმატებით დაასრულეს, დიპლომები და მედლები საზეიმო ვითარებაში გადაეცა. კურსდამთავრებულებს სწავლის წარმატებით დამთავრება მიულოცეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა რინა ბერიანიშ-

ვილმა, უცხოელ სტუდენტთა დეპარტამენტის უფროსმა, პროფესორმა დავით თოფურია, მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა დავით დელიბაშვილმა. 2016 წელს 157-მა უცხოელმა სტუდენტმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

ღმ-ის საერთაშორისო ღია თსუ-ში

თსუ-ის და სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოების ორგანიზებით, თსუ-ში ჩატარდა ღმ-ის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია: „სამედიცინო გენეტიკა და ეპიგენეტიკა პერსონალიზებულ/ზუსტ მედიცინაში: მექანიზმიებიდან მკურნალობამდე“. ღონისძიება, მოიცავდა გენეტიკის სხვადასხვა პრობლემისადმი მიძღვნილი სემინარების კონფერენციას გახსნა თსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ელენე აბზიანიძემ. კონფერენცია მიმდინარეობდა პერსონალიზებული/ზუსტი მედიცინის აქტუალურ საკითხებს. პერსონალიზებული/ზუსტი მედიცინა 21-ე საუკუნეში მედიცინის თითქმის ყველა დარგში შემოიჭრა და აქტიურად ვითარდება მრავალ ქვეყანაში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ



გასულ წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დააანონსა, რომ საფუძველი ჩაეყარა გრანდიოზულ პროექტს, სახელწოდებით – „ზუსტი მედიცინის ინიციატივა“. პროექტის ინიციატორები არიან NIH და FDA. პროექტის განსახორციელებლად 2016 წლისთვის 216 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია გათვალისწინებულია. იმედოვნებენ, რომ პროექტის შედეგები უდიდეს დახმარებას გაუწევენ მსოფლიოს წამყვან მეცნიერებს.

აქტიური თარი ქვეყნების საერთაშორისო

ახლახან გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ქ-ნი ეთერ ქემრეტლიძის, დაბადებიდან 90 წლის იუბილზე საზეიმოდ აღინიშნა ფარმაცეპტივის ინსტიტუტში, სადაც საგანგებოდ

გამოიწვი ნიუ-იორკის ლინკოლნი უნივერსიტეტის პროფესორი, სტუდენტები... ქალბატონმა ეთერმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას დაფასებისთვის და აღნიშნა, რომ მისთვის ეს სიყვარული და პატივისცემა ყველაზე ძვირფასი საჩუქარია.



თბილისის სახელმწიფო სასაქონლო უნივერსიტეტმა "EMSA"-ს ასაბლეთას უმასპინძლა



8-15 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უმასპინძლა მედიკოს სტუდენტთა ევროპის ასოციაციის საგაზაფხულო ასამბლეთას (EMSA S/A 2016). ღონისძიების ორგანიზატორი EMSA-თბილისი, ხოლო მასპინძელი და მხარდამჭერი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ქ.თბილისის მერია იყო.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ეწვია 94 სტუმარი 21 ქვეყნიდან, მათ შორის აღნიშნული ორგანიზაციის პრეზიდენტი – იანის პაპასოლლუ, ვიცე-პრეზიდენტი – საფა ცანცი, ევროპული ქვეყნების EMSA-ს ნაციონალური და ლოკალური კოორდინატორები. ღონისძიების საპატიო სტუმარი ევროპის ექიმთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ბერნარდ მაიეტი გახლდათ.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობა: EMSA-ს ასამბლეა, სესიები, ტრენინგები, ლექციები და ვორკშოპები, განხორციელდა სოციალური აქტივობები. პროექტის სამეცნიერო თემას წარმოადგენდა „იძულებით გადაადგილებული პირები და მათი ჯანმრთელობა“.

დაიგეგმა სამომავლო აქტივობებიც, მათ შორის შედგა შეთანხმება გაცვლითი პროგრამების შესახებ.

ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის საგაზაფხულო ასამბლეთის მონაწილეებმა უმაღლესი შეფასება მისცეს ღონისძიების ორგანიზებას, მეტიც – პრეზიდენტ იანის პაპასოლლუს განცხადებით „EMSA S/A 2016“ არის ერთ-ერთი საუკეთესო გენერალური ასამბლეა, რაც ბოლო წლებში განხორციელებულა.

ევროპის ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტის, ბერნარდ ნაიეტის თქმით, საქართველოში ჩატარებული EMSA S/A 2016 სამაგალითო უნდა იყოს ყველასთვის. „სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ყველას მოვუწოდებ, რომ საქართველოში ჩამოვიდნენ. ეს არის ქვეყანა, რომელიც ყველამ უნდა ნახოს“, – აღნიშნა ბატონმა ბერნარდ ნაიეტმა საქართველოდან გამგზავრებისას.

„EMSA S/A 2016“ მნიშვნელოვანი ფურცელი იყო როგორც მედიკოს სტუდენტთა ევროპის ასოციაციის, ისე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიისთვის.





თანამედროვე საზოგადოება და ბარემოს მემორიალი

თანამედროვე პირობებში რადიკალურად შეიცვალა ტრადიციული, ათწლეულებით ჩამოყალიბებული შეხედულება ადამიანისა და გარემოს ურთიერთდაპირისმართების შესახებ. დღეს ადამიანი განიხილება არა როგორც ბუნების მბრძანებელი, არამედ როგორც მისი განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, რომელზეც მოქმედებს გარემოს მრავალფეროვანი ფაქტორთა როლი კომპლექსი და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმირებაში დიდია თვით ადამიანის როლი, მისი საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და სანარმოო საქმიანობა, რასაც შედეგად მოყვება ატმოსფეროს დაბინძურება ნიადაგის ნორმალური სტრუქტურის დარღვევა – ეროზიული პროცესების განვითარება მნიშვნელოვანი ფაქტორია ბუნებრივი კატაკლიზმების – ვულკანის ამოფრქვევისა და ლავის გავრცელების შედეგად ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა და ა.შ. ამდენად, თვალსაჩინო ეკოლოგიური და სამედიცინო/ჰიგიენური პრობლემების ურთიერთდაპირისმართება და ურთიერთგანპირობებულობა, როგორც ერთი მთლიანი ორი შემადგენელი, განუყოფელი კომპონენტისა.

ადამიანის ჯანმრთელობის განმაპირობებელ ფაქტორთა კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარემოს ხარისხობრივ მდგომარეობას. კერძოდ, ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოს ფაქტორების გავლენის წილი ფასდება 18-25-დან 40-60%-მდე. ამდენად, შედარებით ნაკლებად მდგრადი ფაქტორის – გარემოს ხარისხობრივ მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად შესაძლებელია გარემოს და, შესაბამისად, ადამიანის, გაჯანსაღება, მისი ცხოველმყოფელო-

მართულებით; ამჟამად მიმდინარეობს მათი კრიტიკული რევიზია – გადახედვა და დამტკიცება თვისობრივად უფრო მაღალ დონეზე – ტექნიკური რეგლამენტების სახით. თუმცა შექმნილია პარადოქსული სიტუაცია – პრაქტიკულად არ არსებობს ის ორგანო (უფრო ზუსტად, არ არის დამთავრებული შესაბამისი ინსტიტუციური რეგორმა), რომლის მოვალეობაა გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის კონტროლი და მასთან მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის კვიზირის ანალიზი.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, გარემოს მედიცინის მიმართულებით, პრობლემათა რთულ სპექტრში განსაკუთრებით ყურადსაღებია და პირველი რიგის პრობლემებს მიეკუთვნება:

- სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ინსტიტუციური და სტრუქტურული რეორგანიზაციის დაწყებული პროცესის დასრულება;
- სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების ინსტიტუციური მონყობისა და ურთიერთთანამშრომლობის დასაბუთებული მოდელის შემუშავება;
- სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის სისტემის სრულყოფა და პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველყოფა;
- სანიტარიული ზედამხედველობის განმარტოვებული დაწესებულებების დაკომპლექტება შესაბამისი კვლევითი სპეციალისტებით (საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი



ბისა და ყოველმხრივი განვითარებისთვის ნორმალური პირობების შექმნა.

საქართველოში, უკანასკნელი 2 ათეულზე მეტი წლის განმავლობაში, გარემოს მედიცინის სფეროში მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული.

ერთიანი სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ინსტიტუციური და ფუნქციური რეორგანიზაციის (ფაქტობრივად, ლიკვიდაციის) შედეგად მოშალა გარემოს ფაქტორების მდგომარეობის კონტროლის მწყობრი სისტემა, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მათი გავლენის შესწავლა და შეფასება.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი მცირე ისტორიულ პერიოდში ქვეყანაში შექმნა საკანონმდებლო და ნორმატიულ-მეთოდური ბაზა, რაც უზრუნველყოფს სამუშაოების სათანადო დონეზე წარმართვას გარემოს მედიცინის მი-

გარემოს მედიცინაში);

- პროფილაქტიკური მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებებით სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების სისტემის შემდგომი სრულყოფა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

მხოლოდ მიზანმიმართული და კომპლექსური მუშაობის შედეგადაა შესაძლებელი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაჭრა – გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის სათანადო პირობების შექმნა, რაც ჯანსაღი გენოფონდისა და შრომითი რესურსების შენარჩუნების წინაპირობაა.

**პროფესორი
რეზა კვიციანიძე
თსუ-ის ბარემოს
ჯანმრთელობისა და
პროფესიული მედიცინის
დაპარტამენტის ხელმძღვანელი**

სტუდენტური დღეები 2016 დაიწყო



17 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი – „სტუდენტური დღეები 2016“, რომელშიც მონაწილეობენ სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლები. მასში აქტიურადაა ჩართული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. პროექტის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებლებს შორის ტარდება კულტურულ-გასართობი, სპორტული და ინტელექტუალური კონკურსები, რომელსაც კომპეტენტური ჟიური

აფასებს. პროექტი, თბილისის გარდა, მოიცავს საქართველოს შემდეგ ქალაქებს: წყალტუბო, გორი, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, რუსთავი.

„სტუდენტური დღეების“ მიზნები და ამოცანებია:

- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;
- სტუდენტების თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენება;
- რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურება;
- თვითშემოქმედებითი და სპორტული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა-წახალისება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროექტის გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლინდებიან და წამახალისებელი პრიზებით დაჯილდოვდებიან.

**ინოვაციური
მედიცინის ფაკულტეტის
IV სემესტრის სტუდენტი**

უცხოელი სტუდენტების ყოველწლიური კულტურის ფესტივალი

2016 წლის 18-20 მაისს, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, გაიმართა უცხოელი სტუდენტების ყოველწლიური კულტურის ფესტივალი.

ღონისძიება ჩატარდა კარნავალი, რომელიც მოიცავდა ეროვნული კერძების მომზადებას, თამაშებს, კონცერტს და DJ-ის გამოსვლას. სტუდენტებმა ინდოეთიდან, შრი-ლანკიდან, ერაყიდან, თურქეთიდან, ფიჯიდან, ტუვალუდან, ვანუატუდან, ტრინიდადი-ტობაგოიდან, გუინანადან და გაერთიანებული დომინიკოს რესპუბლიკიდან წარმოადგინეს ნაციონალური სამზარეულო და გაუმასპინძლდნენ მეგობარ სტუდენტებს, რითაც ახალგაზრდების მონონება დაიმსახურეს; 20 მაისს კი თსუ-ის „წითელ დარბაზში“ გაიმართა თეატრალური წარმოდგენა, ტრაგიკომედია – „ქალთა ძლიერება“; უცხოელმა სტუდენტებმა, ასევე, წარმოადგინეს თეატრალური ნომრები.

ფესტივალში უცხოეთის ქვეყნების 300-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.



სტუდენტები განსაკუთრებული მადლიერების გრძობას გამოთქვამენ თსუ-ის რექტორის, კანცლერის, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის, უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტის, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის მიმართ, იმ დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, რომლის შედეგადაც იყო ფესტივალის წარმატებით ჩატარება.

**თარაკა ლუწვილა,
თსუ-ის სტუდენტური
თვითმმართველობის პირველი
პრეზიდენტი**

„Senate“-ში

13 და 20 მაისს, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სტუდენტებისთვის, კლუბ „Senate“-ში გაიმართა წვეულება. საღამოს ესწრებოდა სამედიცინო უნივერსიტეტის ასობით სტუდენტი. ჩატარდა გასართობი და საინტერესო თამაშები და გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სახალისო საჩუქრებით. საღამოს მუსიკალურად აფორმებდა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი რეზი ბაზიერი.

**ნუსა ალქაძიძე,
ფარმაცის ფაკულტეტის
IV სემესტრის სტუდენტი**



„ფალვს“ – ნიგნი ნარსულვა

კრებულს ნამძღვარებული აქვს ავტორის ბროშურა – „ფალვები“, ანუ საგვარეულოს შესახებ არსებული კვინტესენცია; სქემატურადაა ნაჩვენები გვარიშვილების დამსახურება მეცნიერების, ხელოვნების, სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე. ასევე, წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორის მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი.

კრებულს ამჟღავნებს სამი ახალგაზრდა ფალვას – სამი ირაკლის – ლიტერატურულ-შემოქმედებითი ნიმუშები და საოჯახო ალბომში მოძიებული ისტორიული ფოტოსურათები.

შესანიშნავი განზრახვაც გააქონა ავტორმა დამსწრე საზოგადოებას – აქვს სურვილი, ყოველ დაბადების დღეს (გიორგობას) ახალი ნიგნით შეხედეს, იქნება ეს სამედიცინო თვალსაზრისით მომზადებული თუ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მქონე ნაწარმოები.

6 მაისს, გიორგობას, თბილისში ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში, გაიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორის, ბატონი ყარამან ფალვას, ნიგნის – „ფალვას“ პრეზენტაცია. ავტორმა ნიგნი მიუძღვნა საკუთარი გვარის ღირსეულ წარმომადგენლებს, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის წინსვლა-განვითარების საქმეში.

სსოვნის კვირეული



სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, ასობით ქართველი და უცხოელი სტუდენტის მონაწილეობით, 2007 წლის 8 ნოემბერს ტრაგიკულად დაღუპული თსუ-ის რვა სტუდენტის სსოვნისადმი მიძღვნილი სპორტული კვირეული ჩატარდა მინი და ქუჩის ფეხბურთში, კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში, ნარდში, ჭადრაკსა და ფრენბურთში.

გამარჯვებულ სტუდენტებს პრიზები გადასცეს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ასევე, დაღუპულ სტუდენტთა ოჯახის წევრებმა.

„სამედიცინო უნივერსიტეტის თი-

გვერდი მოაზრდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის IV სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარიამ ქვიციანიძემ



თბილისის სახელმწიფო საექიმო უნივერსიტეტის აკ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა

ოდონტოლოგია თერაპიული სტომატოლოგიის დარგია, რომელიც კბილისმავარი და რბილი ქსოვილების დაავადებებსა და დაზიანებებს და მათი მართვის პრინციპებსა და მეთოდებს სწავლობს. ამ პათოლოგიათა შორის განიხილება კბილების ტრავმა, რომელიც სტომატოლოგს სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს. პრობლემა მრავალი საკითხის გადამწყვეტს ითხოვს: გასათვალისწინებელია ტრავმის სიმძლავრე, მისი ლოკალიზაცია, კბილის პულპის მდგომარეობა, მიმდებარე ქსოვილების დაზიანების ხარისხი, პაციენტის ასაკი და სხვა.

ტრავმის შედეგად უზშირესად ზიანდება კბილის გვირგვინოვანი ნაწილი და ფესვი მისი სიგრძის სხვადასხვა დონეზე. შესაძლებელია კბილის დისლოკაციის შეცვლა და მისი გადაადგილება ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეში. ხშირია კბილის ამოვარდნილობაც. ყველა ზემოჩამოთვლილ შემთხვევაში ექიმის წინაშე, უპირველეს ყოვლისა, კბილის, პირის ღრუში მისთვის განკუთვნილ უბანში, დაფიქსირების აუცილებლობა დგება და მხოლოდ შემდეგ განიხილება მისი დარღვეული მთლიანობისა და ფუნქციური რეაბილიტაციის საკითხი. არსებული სიტუაციის შეფასებით, იგეგმება პულპის (კბილის ნერვის) შენარჩუნების ან მისი ევაკუაციის საჭიროება. სამწუხაროდ, სტომატოლოგებს ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების მიღება უფრო ხშირად უწევთ.

ცხადია, კბილის პულპის ევაკუაციის შემდეგ ჩატარებული ნარმატიული ენდოდონტიური მკურნალობა (კბილის ფესვის დაბუნება) კბილის ხანგრძლივ ცხოველმყოფელობას განაპირობებს, მაგრამ ამ პროცედურის 10-12 წლამდე ასაკის მოზარდებში ჩატარება, სამწუხაროდ, კბილის ფესვის ფორმირების შეწყვეტას იწვევს, რადგან კბილის ფესვის საბოლოო სიგრძისა და მწვერვალოვანი მესამედის ჩამოყალიბება მხოლოდ კბილის „ცოცხალი“ პულპის სპეციფიკური, ოსტეოტროპული უჯრედებით ხდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესოა იმ 2 კლინიკური შემთხვევის აღწერა, სადაც ორმა მოზარდმა ერთი და იგივე ჯგუფის კბილებზე (კბილი 2.1 — ზედა ყბის მარცხენა ცენტრალური საჭრელი და 1.1 — ზედა ყბის მარჯვენა ცენტრალური საჭრელი) პრაქტიკულად, მსგავსი კბილის ტრავმები მიიღეს და რენტგენოგრაფიულად კბილის ფესვების მოტეხილობა დაფიქსირდა.

საინტერესო შემთხვევები:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ მარინა მამალაძის, კლინიკური შემთხვევები:




№1 შემთხვევის აღწერილობა:

13 წლის ბიჭუნამ სახეზე სერიოზული ტრავმა მიიღო. სახისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაზიანებასთან ერთად, მას აღენიშნა კბილი 2.1-ის ტრავმა. კლინიკურად სახეზე იყო ამ კბილის ვერტიკალური, ნაწილობრივი ამოვარდნილობა, რენტგენოვიზოგრაფიულად კი ფესვის მოტეხილობა მწვერვალოვან მესამედში.

კბილის ელექტროდონტომეტრიულმა გამოკვლევამ, სამწუხაროდ, კბილის პულპის სრული ნეკროზი უჩვენა. კბილის გვირგვინი-

სა და გვირგვინის მიმდებარე ფესვის ფრაგმენტის ამოღების შემთხვევაში, ყბის ალვეოლაში „ჩარჩენილი“ ფესვის ფრაგმენტზე შეუძლებელი ხდებოდა ორთოპედიული კონსტრუქციის საფიქსაციო რაიმე ტიპის ღერძოვანი სტრუქტურის ჩახრახნა, ამ ფრაგმენტის ღრმად, ექიმისთვის, პრაქტიკულად, მიუდგომელი ლოკალიზაციის გამო. სწორედ ამიტომ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სათანადო ენდოდონტიური პროცედურებით ფესვის ორი მონატეხი ფრაგმენტის ერთმანეთთან დაკავშირება ღერძიანი გუტაპერჩის წიკრებით. ამ გზით კბილი კბილბუდეში დაფიქსირდა, მისი სტატიკის შენარჩუნებისთვის კი დაზიანებული და „მეზობელი“ კბილები ადჰეზიური არტაშნით ერთ ბლოკად შეიკრა.

პაციენტი ყოველ 6 თვეში საკონტროლო დათვლიერებას გადის. მკურნალობიდან 3 წლის შემდეგ მდგომარეობა სტაბილურია, კბილი ფერმუცველია, სტატიკა კი მდგრადი.



№2 შემთხვევის აღწერილობა:

8 წლის ბიჭუნამ 1.1 კბილის ტრავმა მიიღო. ტრავმის შედეგად დაზიანდა ზედა ტუჩი და კბილისირგვლივი ლორწოვანი გარსი. კბილზე – 1.1 – აღინიშნება გვირგვინის მობილობა, მისი ვერტიკალური „დაგრძელება“ და მრავლობითი ბზარები. რენტგენოვიზოგრაფიულმა გამოკვლევამ გამოავლინა ფესვის მოტეხილობა მის შუა მესამედში. ჩვეულებრივ, ამგვარი კლინიკური მდგომარეობა ენდოდონტი-

ური მკურნალობის ჩატარებას აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში, თუმცა, ფესვი არასრული სიგრძის, მისი მწვერვალი კი ჩამოყალიბებული დარჩება. სათანადო კლინიკური პროცედურების ჩატარების შემდეგ განისაზღვრა კბილის ელექტროდონტომეტრიული პოტენციალი, რამაც, ყველას გასაოცრად, პულპის ნორმალური ცხოველმყოფელობა დააფიქსირა. გადაწყდა მხოლოდ მაშინიერებული მკურნალობა ენდოდონტიური ჩარევის გარეშე. პირის ღრუსა და კბილების სათანადო

დამუშავების შემდეგ ჩატარდა კბილი - 1.1 იმობილიზაცია ვესტიბულური რკალით (კბილების ტუჩისკენა ზედაპირებიდან). 1 თვის შემდეგ კვლავ განისაზღვრა პულპის ელექტროფიზიოლოგიური პოტენციალი. გამოკვლევამ პულპის ნორმული ფუნქციონება უჩვენა. პაციენტს ჩაუტარდა ზედა ყბის ოთხი საჭრელის დაფიქსირება ერთიანი ადჰეზიური არტაშნით. მკურნალობის დასრულებიდან 2 თვეა გასული. ჯერჯერობით პოსტრესტავრაციული გართულება არ გამოვლენილა.



„პაროდონტიის, პირის ღრუს ლორწოვანის დაავადების მართვა და ინფექციის ჯონორული სტომატოლოგია“



2016 წლის 10-12 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის, თსსუ-ის პაროდონტიისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებათა დეპარტამენტის, ქართულ-გერმანული იმპლანტაციის ცენტრ „HBI-dentimplant“-ის და კომპანია „Dents-ტალ“-ის ინიციატივით, ჩატარდა ქართულ-გერმანული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე – „პაროდონტიის, პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებების მართვა და ინფექციის კონტროლი სტომატოლოგიაში“.

კონფერენციის ფარგლებში მონაწილე იყვნენ გერმანული ფირმა „DÜRR DENTAL“-ის წარმომადგენლები: რუდოლფ თრენქენშუ და ანდრე რენზი.

კონფერენცია გახსნა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა მარინა მამალაძემ.

ექიმი სტომატოლოგის, როგორც ორგანიზმის სხვადასხვა დაავადების პირველი დიაგნოსტიკოსის როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა თსსუ-ის პაროდონტიისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მანანა ივრიელმა.

კომპანია DÜRR Dental-ის გენერალურმა მმართველმა აღმოსავლეთ ევროპაში რუდოლფ თრენქენშუმ და კომპანია DÜRR Dental-ის მენეჯერმა აღმოსავლეთ ევროპაში, ანდრე რენზიმ, წაითხეს საინტერესო მოხსენებები:

„ასპირაციული სისტემები ხარისხიანი მკურნალობისა და ჯანმრთელობის გარანტი“;

„ულტრაბერიითი აპარატის, Vector-ის, გამოყენება პაროდონტის დაავადებათა მკურნალობაში“;

„ინფექციური უსაფრთხოება სტომატოლოგიურ კლინიკებში“;

„VistaCam iX-ი ოპტიკური სისტემა კარიესის დიაგნოსტიკაში“;

„VistaScan Mini-ი ახალი შესაძლებლობები რენტგენოლოგიაში“.

პაროდონტიის მკურნალობისა და Vector-სისტემის გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებზე ისაუბრა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, თსსუ-ის ასოციირებულმა პროფესორმა, ნინო აბაშიძემ.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის თანამშრომლები.

დამსწრეთათვის ინდივიდუალური სამუშაო ადგილებზე ჩატარდა წინასწარ მერჩეულ პაციენტთა მკურნალობა Vector სისტემის გამოყენებით და განიხილეს პაროდონტული თერაპიის სხვადასხვა საკითხი.

კონფერენციის მონაწილეთათვის გათამაშდა საჩუქრები – თსსუ-ის პაროდონტიისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებათა დეპარტამენტის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები; ასევე, 5%-იანი ფასდაკლების ვაუჩერი Vector სისტემის სრულ კომპლექტზე.



„ერაზმუს მუნდუსის“ და „ერაზმუს“-ის კრედიტების მოხილვის ფარგლებში განხორციელებული პროგრამები

ბოლო წლებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა განათლების ხარისხის ამაღლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ზრდა საერთაშორისო თვალსაზრისით, ანუ ინტერნაციონალიზაციის პროცესი მოიცავს, როგორც სტუდენტთა, ასევე, აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს, საერთაშორისო თანამშრომლობას კვლევითი პროექტების ფარგლებში.

„ერაზმუს მუნდუსი“ თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა უმაღლესი განათლების სფეროში, რომელიც მიმართულია ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. იგი, მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე, ხელს უწყობს დიალოგსა და ურთიერთგაგებას ხალხებსა და კულტურებს შორის.

ევროკავშირის ფარგლებში დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გულისხმობს, პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმების საფუძველზე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების, მკვლევარებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას ევროპული ქვეყნების სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მისი მიზანია, ევროპული უმაღლესი განათლების მიმზიდველობის გაზრდა, სტუდენტთა კარიერული ზრდის და კულტურული ურთიერთობების ხელშეწყობა უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის გზით.

„ერაზმუს მუნდუსის“ და „ერაზმუს“-ის პროგრამები ხორციელდება საქართველოს „ერაზმუს“-ის ეროვნული ოფისის, ევროკომისიის აღმასრულებელ სააგენტოს (EACEA) ხელშეწყობით.

2012 წელს Erasmus Mundus Action – 2 პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლობით შექმნილი კონსორციუმი - ALRAKIS II და თსუ-ის სტუდენტების

და პროფესორების მობილობა განხორციელდა შემდეგ უნივერსიტეტებში: გიორგიშვილის გეორგი-აუგუსტუსის უნივერსიტეტი, გერმანია (1 აკადემიური პერსონალი); ვარშავის სიცილიის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, პოლონეთი; ტალინის უნივერსიტეტი, ესტონეთი; სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი, ესპანეთი (თსუ-ის 5 სტუდენტი); პარიზის ვალ-დე-მარის უნივერსიტეტი, საფრანგეთი, (1 აკადემიური პერსონალი და 1 სტუდენტი 10 თვით); ტუმას უნივერსიტეტი, იტალია; გრონინგენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები; მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა (1 სტუდენტი).

Medea პარტნიორებად ევროპიდან წარმოდგენილი არიან: ტულუზის პოლ საბატიერის უნივერსიტეტი (საფრანგეთი); ბერლინის სამედიცინო უნივერსიტეტი – შარიტე (გერმანია); არისტოტელეს უნივერსიტეტი – თესალონიკი (საბერძნეთი); პერუჯის უნივერსიტეტი (იტალია); ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი (ლატვია); ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა); უნივერსიტეტი პორტო (პორტუგალია); სანტიაგო დე კომპოსტელა (ესპანეთი); კარდიფის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ჩესტერის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი).

რეგიონიდან Medea პარტნიორები არიან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – რეგიონული კოორდინატორი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. ქუთაისი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი; ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აზერბაიჯანის სამედიცინო აკადემია; ბელორუსის სამედიცინო აკადემია, ქ. მინსკი; მედიცინის და ფარმაციის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. კიშინიოვი, მოლდოვა; ბუკოვინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, უკრაინა; ტერნოპოლის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, უკრაინა; უკრაინის სამედიცინო სტომატოლოგიური აკადემია, ქ. პოლტავა, უკრაინა.

I, II და III სამიზნე ჯგუფებში გამარჯვებულნი:

აგულაშვილი სოფიკო - I სამიზნე ჯგუფი; სტომ. ფაკ. სტუდ.; ვილნიუსი; 10 თვე;
 ანთია ხატია — II სამიზნე ჯგ.; საზ.ჯანდაცვის ფაკ. მაგისტრი; ჩესტერი; 6 თვე;
 ბერიშვილი ანა - II სამიზნე ჯგ.; საზ. ჯანდაცვის ფაკ. მაგისტრი; პორტო; 22 თვე;
 ბიგვაია თამუნა - III სამიზნე ჯგ.; მკვლევარი; შარიტე; 10 თვე;
 ბოკერია თინათინი - II სამიზნე ჯგ.; აკად. პერს.; ჩესტერი; 1 თვე;
 ქელიშვილი ჯილდა - I სამიზნე ჯგ.; სადოქტორო; 6 თვე;
 ჭიჭინაძე თამარი - II სამიზნე ჯგ.; აკად. პერს.; პერუჯა; 1 თვე;
 დევიძე ქეთი - I სამიზნე ჯგ.; ადმ. პერს.; ტულუზა; 1 თვე;
 ძამაშვილი მაია - I სამიზნე ჯგ.; დოქტორანტი; შარიტე; 36 თვე;
 გახუციძე თამარი - II სამიზნე ჯგ.; მაგისტრი; ჩესტერი; 10 თვე;
 გვასალია თამარი - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტ.; რიგა; 6 თვე;
 ეკალაძე ეკა - II სამიზნე ჯგ.; ადმ. პერს.; ჩესტერი; 1 თვე;
 ჯავახაძე გურამი - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტ.; არისტოტელეს უნი-ტი; 6 თვე;
 ჯვარიძე მარიამი - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტ.; შარიტე; 6 თვე;
 ყაჯრიშვილი ალექსანდრე - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტ.; ვილნიუსი; 6 თვე;
 კიკვაძე სალომე - II სამიზნე ჯგ.; ადმინ. პერს.; ჩესტერი; 1 თვე;
 ქენჭაძე გურანდა - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტ.; ვილნიუსი; 6 თვე;
 კუცია მანანა - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტ.; არისტოტელეს უნი-ტი; 6 თვე;
 ლავგილავა ივერი - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. მაგისტრი; პაულ საბატიერის უნი-ტი; 10 თვე;
 ლობჯანიძე მარიამი - II სამიზნე ჯგ.; საზ. ჯანდაცვის ფაკ. სტ.; ჩესტერი; 10 თვე;
 მამუჩარაშვილი ნათია - I სამიზნე ჯგ.; სტომ. ფაკ. მაგისტრი; პაულ საბატიერის უნი-ტი; 22 თვე;
 მამულაშვილი ზაზა - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტუდ.; შარიტე; 10 თვე;
 მამუჩაძე რუსუდანი - I სამიზნე ჯგ.; სტომ. ფაკ. სტუდ.; რიგა; 6 თვე;
 მუჯირიშვილი ალექსი - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტუდ.; სანტიაგოს უნი-ტი; 10 თვე;
 ნანავა ნინო - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტუდ.; რიგა; 6 თვე;
 ნიკურაძე თამარი - I სამიზნე ჯგ.; მკვლევარი; შარიტე; 10 თვე;
 რუსაძე ლონდა - I სამიზნე ჯგ.; საზ. ჯანდაცვის ფაკ. მაგისტრი; 22 თვე;
 ტატანაშვილი გიორგი - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ.

სტუდ.; პორტო; 10 თვე;
 წერეთელი ანა - I სამიზნე ჯგ.; მკვლევარი; შარიტე; 10 თვე;
 ცაბაძე მარი - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტუდ.; ვილნიუსი; 10 თვე;
 ჭურულაშვილი ცირა - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტუდ.; შარიტე; 10 თვე;
 თხილაშვილი თამთა - I სამიზნე ჯგ.; მედ. ფაკ. სტუდ.; შარიტე; 18 თვე;
 ზარქუა ნინო - I სამიზნე ჯგ.; საზ. ჯანდაცვის ფაკ. მაგისტრი; შარიტე; 10 თვე;

MEDEA-ს ფარგლებში თსუ-ში 2015 წელს ერთ-თვიანი გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდნენ: ქ. რიგის სამედიცინო კოლეჯის ლატვიის უნივერსიტეტის პროფესორები: აია ლაზდანე, დიტა რაისკა, ლინდა ალონდერე; ხოლო მიმდინარე წლის ზაფხულში თსუ-ში ვიზიტით ჩამოვლენ: პროფესორი ვაიკა ჰენდრიქსონი, ვილნიუსის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ერაზმუსის პროგრამების კოორდინატორი; ქალბატონი იოანა გეორგიადე, თესალონიკის არისტოტელეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული საგანმანათლებლო პროექტების ხელმძღვანელი; მარია მილონა, „ერაზმუსის“ პროექტების კოორდინატორი.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე თსუ-ის ესტუმრებიან: ვილნიუსის უნივერსიტეტის (ლიტვა) პროფესორი, მარია ენუტე ჯაკუბაუსკენე და მედიცინის ფაკულტეტის სამი სტუდენტი.

2015-2016 წლებში თსუ-ის დაფინანსებული „ერაზმუს“-ის პროგრამები (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო მიმართულებები):

ჩესტერის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი) — მედიცინის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულება;

ტალინის ჯანდაცვის კოლეჯი (ესტონეთი) — მედიცინის და ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის;

პერუჯის უნივერსიტეტი (იტალია) — მედიცინის და ფარმაციის მიმართულება;

პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია) — მედიცინის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ფარმაციის მიმართულება;



სალონიკის უნივერსიტეტი (საბერძნეთი) — მედიცინის მიმართულება;

მილესესის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);

შჩეცინის უნივერსიტეტი (პოლონეთი) — ბიოფიზიკის მიმართულება.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება თანამშრომლობის შესახებ **პიზის** და **სასარის** (იტალია) უნივერსიტეტებთან, ასევე, **ინსბრუკის** და **პარიზის ვალ-დე-მარის უნივერსიტეტებთან**. დაფინანსებისთვის განაცხადი უკვე შეტანილი აქვთ: **ვილნიუსის, რიგის, ტულუზის, დუბლინის და პავიას უნივერსიტეტებს**.

სტუდენტები ექვსთვიანი მობილობა – 5; ათთვიანი მობილობა – 2;	სადოქტორო სამწლიანი მობილობა – 1;
მაგისტრები/რეზიდენტები ათთვიანი მობილობა – 2;	მკვლევარები 10, მობილობა – 1;
სადოქტორო ექვსთვიანი მობილობა – 1;	ადმინისტრაციული/აკადემიური შტატი – 1



ნინო კანდელაკი, თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, პროგრამა „ერაზმუს“-ის კოორდინატორი



„დაუვინყარი ამაგი“



არ ზოგავდა. ქალბატონი მანანა მრავალი სამეცნიერო ნაშრომის და კრებულის ავტორია. არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი და სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტი, უამრავი გრანტის მფლობელი, მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და ორგანიზატორი საქართველოსა და ევროპაში, წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე, 20 წლის განმავლობაში გერმანული ენის კათედრის და ენების ცენტრის ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე.

„დაუვინყარი ამაგი“ – ასე ჰქვია პროფესორ მანანა ქუთელიას სსიპ-ის მიძღვნილ დოკუმენტურ ფილმს, რომლის ავტორიც გახლავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის დირექტორი, პროფესორი ქალბატონი ნინო აბრალავა.

20 მაისს, ქალბატონ მანანა ქუთელიას დაბადების დღეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, უცხო ენების ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა ფილმის ჩვენება. ფილმში ცოცხლდება ქალბატონ მანანა ქუთელიას ცხოვრება და მოღვაწეობა, რამაც დამსწრე საზოგადოების, ქართველი და უცხოელი კოლეგების გულები კიდევ ერთხელ ალაგსო სითბოთი და სიყვარულით.

ფილმის პრეზენტაცია გახსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ნინო აბრალავამ:

„შევეცადე, ფილმში გამეცოცხლებინა ქალბატონი მანანა, ისეთი, როგორც იყო სინამდვილეში. ამაგის დაბრუნება შეუძლებელია, ეს ფილმი არის ჩემი მხრიდან მხოლოდ მადლიერების გამოხატვის მოკრძალებული მცდელობა და ერთგვარი ანგარიში მისი სულის წინაშე,“ – აღნიშნა ფილმის ავტორმა, ქალბატონი მანანას ყოფილმა დოქტორანტმა, პროფესორმა ნინო აბრალავამ.

ლონისძიებზე ქალბატონი მანანა გულთბილად გაიხსენეს ქართველმა და უცხოელმა კოლეგებმა და აღნიშნეს მისი დიდი ღვაწლი მეცნიერებისა თუ ქართულ-გერმანული ურთიერთობების განვითარების საქმეში.

ქალბატონი მანანა გახლდათ ადამიანი, რომელიც თანაბრად ახერხებდა ყოფილიყო შესანიშნავი მეცნიერი, გერმანისტი, საზოგადო მოღვაწე, მზრუნველი დედა და ბებია, შეყვარებული მეუღლე, საუკეთესო პედაგოგი, შესანიშნავი მეგობარი, რომელსაც ყოველთვის დაეყრდნობოდი; ერთგული კოლეგა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხო ენების ცენტრის უფროსი ხელმძღვანელი, თანამშრომლების ტკივილის გამაზიარებელი და დამხმარე, რომლებთანაც მთელი ცხოვრება იღვანა; სტუდენტების საყვარელი ლექტორი, გულშემატკივარი და მეგობარი, რომელთა პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის თავს

კანი, კათედრის გამგე, 20 წლის განმავლობაში გერმანული ენის კათედრის და ენების ცენტრის ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. პროფესორმა მანანა ქუთელიამ პირველმა შეიმუშავა ქართულ სინამდვილეში კომუნიკაციაზე ორიენტირებული სამედიცინო ენის სწავლების მეთოდოლოგია. პირველმა შეადგინა მედიკოსებისათვის გერმანულ ენაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები და სამედიცინო ლექსიკონები.

ქალბატონმა მანანა ქუთელიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ-გერმანული ურთიერთობების გაღრმავებაში. მისი ხელშეწყობით გერმანისა და ავსტრიაში სხვადასხვა სახის პრაქტიკა და სტაჟირება გაიარა 300-ზე მეტმა ქართველმა სტუდენტმა, რეზიდენტმა, ექიმმა და პროფესორმა. ბევრი მათგანი დღეს გერმანისა და ავსტრიაში წარმატებით მოღვაწეობს.

გერმანია-ავსტრიის მხარის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით, დაარდა ქალბატონ მანანა ქუთელიას სახელობის პროექტი და დაწესდა მისი სახელობის სტიპენდია.

მანანა ქუთელიას სახელობის პროექტს, რომელსაც საფუძველი თავად ქალბატონმა მანანა ქუთელიამ ჩაუყარა, ავსტრიის მხრიდან უხელმძღვანელებს ქალბატონი მანანას ყოფილი სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, გერმანიაში მოღვაწე წარმატებული ექიმი ირმა კვიციანიძე. გერმანიის მხრიდან კი – კობ-მეჩნიკოვის ფორუმის პრეზიდენტი, პროფესორი ჰელმუტ ჰანი და ვიკტორ-პრეზიდენტი, პროფესორი ტიმო ულრიხსი.

ეს პროექტი იმ სტუდენტებისა და რეზიდენტების გაცვლას ითვალისწინებს, ვინც კარგად ფლობს გერმანულ ენას. მანანა ქუთელიას სახელობის პროექტის ფარგლებში მათ პრაქტიკის გავლის და განათლების მიღების შესაძლებლობა ექნებათ გერმანიისა და ავსტრიის კლინიკებში. პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობაა B2 სერტიფიკატი, რომელსაც გაცემს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრი, რომელიც ფლობს საერთაშორისო აკრედიტაციას.

გზვიდობით, ნანა!

ადამიანის ცხოვრება იმით ფასდება, თუ რა რჩება მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ, რა ამასხორდებით ადამიანებს მის შესახებ. ქალბატონი ნანა დათიაშვილის უეცარმა, თავზარდამცემმა გარდაცვალებამ ცხადყო, რომ მას უდიდესი სითბო და სიყვარული აქვს დათესილი ყველგან, სადაც კი თუნდაც მცირე ხნით მოუხდა ყოფნა. ამიტომაც იყო უდიდესი, მოუშუშებელი ტკივილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციისთვის მისი გარდაცვალება. ქალბატონი ნანა დათიაშვილი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისმემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი იყო. მისი პროფესიონალიზმი და საქმიანობა ერთგულთა ნიშანდობად ადგას კოლეგებსა და თანამშრომლებში დატოვებულ სსიპს, მის მიმართ დიდ პატივისცემას. მან დატოვა ტკივილი, რომელიც არასოდეს განელდება...


მი, ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლში.

ნანა დათიაშვილს დიდი სითბოთი იხსენებენ თსსუ-ის გვიგენიას სახელობის პედაგოგის აკადემიური კლინიკის თანამშრომლები, სადაც იგი 2012-2015 წლებში მუშაობდა დირექტორის თანამდებობაზე საორგანიზაციო დარგში. კლინიკის თითოე-

კლინიკის თანამშრომლები მას მუდამ დიდი სითბოთი და სიყვარულით მოიგონებენ.

ქალბატონი ნანას გახსენებისას, ერთმანეთს ენაცვლება, მისი, როგორც პროფესიონალისა, ამავდროულად, არაჩვეულებრივი პიროვნების სახე.

ნანა დათიაშვილის პროფესიული აქტივობა პრაქტიკულ ჯანდაცვასა და უმაღლესი სამედიცინო განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმატორული ცვლილებების პერიოდს დაემთხვა, როდესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგობრივი საკითხების სამართლებრივად გამართული და, ამავე დროს, ჰუმანური გააზრება. ყოველივე ეს კი თითქოს მის კომპეტენციასა და ადამიანურ თვისებებზე იყო მორგებული: იგი გახლდათ კვალიფიციური იურისტი, თავზიანი, ლიმილიანი, დიდსა



ქალბატონმა ნანამ ცხოვრების გულდასაწყვეტად ხანმოკლე გზა განვლო – იგი რამდენიმე თვეში მხოლოდ 44 წლის გახდებოდა; და მიუხედავად ამისა, მან მოასწრო ადამიანური და პროფესიული თვისებებით ახლობლების, კოლეგებისა და ექიმების გულსა და გონებაში დაემკვიდრებინა განუყოფელი ადგილი.

ქალბატონი ნანა, განათლებით – იურისტი, სამართალმცოდნე, ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობდა, 2007 წლიდან კი – უკვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტ-

ულ თანამშრომელს ახსოვს მისი არაჩვეულებრივი ურთიერთობის უნარი, პროფესიონალიზმი და საქმიანობა განსაკუთრებული დამოკიდებულება. მას დიდი წვლილი მიუძღვის კლინიკის გახსნასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხების ორგანიზებაში, ამასთან, ქალბატონი ნანა აქტიურად მუშაობდა დიპლომისმემდგომი განათლების პროგრამებზე. როგორც ადამიანი, ის გახლდათ უაღრესად კეთილშობილი, უნაგარო, გულისხმიერი, სანიშნო დედა და ერთგული მეგობარი.

თუ პატარასთან გამორჩეულად კორექტული და ლამაზი ქალბატონი.

ქალბატონმა ნანა დათიაშვილმა კეთილად იცხოვრა და, ძალიან სამწუხაროდ, ახალგაზრდა ასაკში წავიდა ისე, რომ გაოგნებული და უკიდურესად გულნატკენი დატოვა შვილი, მშობლები, ძმმა, მეგობრებმა, ახლობლებმა და კოლეგებმა.

მშვიდობით, ჩვენო ნანა!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

გია ქალანდარიშვილის გახსენება



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს დღემდე მძიმე ტკივილად ახსოვს პროფესორ გია კალანდარიშვილის ახალგაზრდულ ასაკში გარდაცვალება. მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა (მხოლოდ ორმოცდაათი წელი იცოცხლა), მან მოასწრო და გახდა წარმატებული მეცნიერებაში, პედაგოგიურ და სამკურნალო საქმიანობაში. გია კალანდარიშვილს მიმდინარე წლის 24 მაისს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდებოდა.

1990 წელს, როდესაც გია თერაპიის №2 კათედრის ასისტენტად აირჩიეს, იგი უკვე იყო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დისერტაცია მოსკოვში

ასპირანტურაში სწავლის დროს დაიცვა, პროფესორი ა. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით. მას იქვე შეეძლო საექიმო საქმიანობის წარმატებით გაგრძელება, მაგრამ სამშობლოში დაბრუნდა და თერაპიის კათედრაზე გააგრძელა მუშაობა... მისვლისთანავე კათედრის თანამშრომელთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, როგორც განათლებულმა პიროვნებამ, წესიერმა ადამიანმა, დიდი პოტენციის მქონე მეცნიერმა პედაგოგმა, პედაგოგების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა დროებით შეაჩერა, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ქარტეზილების გამო... 1999 წელს წარმატებით ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგი განივრცო სადოქტორო დისერტაციაში – „ფილტვების ქრონიკული უკმარისობის არამედიაკამენტური მკურნალობა“, კოლეგები და ოპონენტები აღნიშნავენ, რომ სამეცნიერო კვლევა გამოირჩეოდა აქტუალობით, კვლევის მეთოდების მაღალი დონით, ახალი ორგინალური დასკვნებით, რომელსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. მისმა პედაგოგიურმა და სამეცნიერო საქმიანობამ ასახვა ჰპოვა პედაგოგთან, პროფესორ ვაჟა გვანცელაძესთან ერთად გამოცემულ სახელმძღვანელოში –

„შინაგანი სნეულებათა დიაგნოსტიკა და თერაპია“. გია კალანდარიშვილი გახლდათ საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რაც მისი კიდევ ერთი აღიარება იყო, როგორც მეცნიერ-პედაგოგისა.


ყველასთვის მოულოდნელი იყო გია კალანდარიშვილის უეცარი გარდაცვალება 50 წლის ასაკში, მას ბევრი რამ დარჩა სათქმელი, საკვლევია, დასაწერი... ადამიანური ურთიერთობების გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული, ძალიან დააკლდა პაციენტებს, სტუდენტებს, კოლეგებს, ოჯახს...

თავად ვერ მოეწრო პირველ შვილიშვილს, ახლა ოთხი შვილიშვილი ჰყავს და მათგან ერთ-ერთი მისი მოსახელეა.

გრძელდება გვარი, დანარჩენს დრო აჩვენებს, ყველაფრის მთქმელი დრო.

პროფესორი ვაჟა გვანცელაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რეპროდუქციული მედიცინის სპეციალისტი, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო აკადემიის აკადემიკოსი; პროფესორი გიორგი ბაგრატიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსსუ-ის ზოგადი თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სახელოვანი ქირურგის ხსოვნას



1995 წლიდან 2007 წლამდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამედიცინო გაზეთში“ სისტემატურად ქვეყნდებოდა ცნობილი ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ბოჭორიშვილის, მოგონებები, სადაც იგი საინტერესოდ და შთაბეჭდილად მოგვითხრობდა მის მიერ განვლილ გზაზე — ბავშვობაზე, სტუდენტობის წლებზე, კლინიკურ და სამეცნიერო საქმიანობაზე, მედიცინის კორიფეებთან ურთიერთობაზე...

სწორედ ამ მოგონებების მიხედვით გამოიკვან ნიგინი გიორგი ბოჭორიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომლის პრეზენტაციაც ახლახან საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. ნიგინის რედაქტორია სახელოვანი ქირურგის ვაჟიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ბოჭორიშვილი. წინასიტყვაობაში, საუბრობს რა მამის ღვაწლსა და დამსახურებაზე მედიცინაში, ბ-ნი გოგი აღნიშნავს: „როცა პროფესორი გიორგი ბოჭორიშვილი აქტიურ სამედიცინო პრაქტიკას ეწეოდა, არ არსებობდა ექოსკოპიური კვლევა, რომ არაფერი ვთქვათ კომპიუტერულ დიაგნოსტიკაზე. არც თანამედროვე საანესთეზიო საშუალებები და აპარატურა არსებობდა. ამიტომ იმ თაობის გამორჩეული მასსიათებელი გახლდათ ექიმობა, რაც ეფუძნებოდა პაციენტის ანამნეზის სრულყოფილ შეფასებას, ღრმა თეორიულ განათლებას, მდიდარ კლინიკურ გამოცდილებას და უზადო ოპერაციულ ტექნიკას. მეტიც, იმ პერიოდის ამგვარი უნიკალური ოპერაციები ქირურგიის სიდიადის მანიშნებელი გახლდათ.“

ნიგინის პრეზენტაციაზე სიტობითი და სიყვარულით გაისხენეს ცნობილი ქირურგი და პედაგოგი თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ და თსსუ-ის პროფესორებმა: ნოდარ ლომიძემ, თამაზ ჩხიკვაძემ, თეიმურაზ პეტრიაშვილმა; გასტროენტეროლოგმა ხუტა პაჭკორიამ.

სასახელო ოჯახის ღირსეულმა წარმომადგენლებმა, გიორგი ბოჭორიშვილის შვილებმა, პროფესორებმა გიორგი, ნანა და რევაზ ბოჭორიშვილებმა ნიგინის პრეზენტაციაზე საზოგადოებას ამცნეს თავიანთი გადაწყვეტილება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებული უნივერსიტეტის გიორგი ბოჭორიშვილის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, სახელოვანი მამის ხსოვნის, ასევე, მშობლიური უნივერსიტეტის და ქართული სამედიცინო სკოლის მიმართ.



სიხვეყე აყბოვლში

ტვინის სიკვდილის შედეგად შეიცვლება, პაციენტებს სიცოცხლე დაუბრუნონ



ტურის მეშვეობით მოხდება. ამჟამად მკვლევრები ეძებენ ხალხს, რომელთაც ახლობლები თანხმობას განაცხადებენ ექსპერიმენტში მონაწილეობაზე, თვითონ „გამაცოცხლებელი“ კურსი კი 6 კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

მეცნიერები გეგმავენ, რამდენიმე მეთოდის ტესტირება მოახდინონ ექსპერიმენტის მონაწილეებზე, მაგალითად, კვირაში ორჯერ პაციენტის თავის ტვინში ღეროვანი უჯრედები შეიყვანონ და ყოველდღიურად ზურგის ტვინში პეპტიდების ინექციები გაუკეთონ. გარდა ამისა, მკვლევრები ჩაატარებენ ლაზერული თერაპიის კურსს, რომელიც უკვე აპრობირებულია პარკინსონიან და ინსულტადატანულ პაციენტებზე. სხვა მეთოდი ხელის ნერვის ელექტროსტიმულაციაა.

თვალის ადვენონ პაციენტების თავის ტვინის აქტიურობას ყოველი თერაპიული კურსის შემდგომ რამდენიმე თვის განმავლობაში, ასევე, გამახვილონ განსაკუთრებული ყურადღება ზურგის ტვინის ზემო ნაწილზე, რომელიც მონაწილეობს სუნთქვის პროცესის კონტროლში. მეცნიერები დააკვირდებიან პულსის სისხირის ცვლილებებს, ორგანიზმის სისხლით მომარაგებას და არტერიულ წნევას.

იმედოვნებენ, რომ შედეგები უკვე 2-3 თვეში იქნება შესაძენვე, არ გამოიცხადებენ იმას, რომ მათ შეეძლებათ გამოიწვიონ ნერვული უჯრედების რეგენერაციის პროცესი და გააუმჯობესონ კვლევის მონაწილეების ნერვული სისტემის მუშაობა.

<http://www.sciencealert.com/a-biotech-company-has-been-given-permission-to-try-and-bring-dead-brains-back-to-life>

ბიოტექნოლოგიურმა კომპანია — Bioquark Inc-მ მიიღო ეთიკური კომისიის თანხმობა უჩვეულო ექსპერიმენტის განსახორციელებლად. კვლევას ერთ-ერთ ინდურ საავადმყოფოში ამერიკელი მეცნიერები ჩაატარებენ. პროექტ — ReAnima-ს ფარგლებში მეცნიერები შეეცდებიან, გააცოცხლონ ტვინი — ექსპერიმენტები ტვინის სიკვდილის შემდეგ 20 ადამიანზე ჩატარდება, მათი სიცოცხლის შენარჩუნება კი სპეციალური აპარატურით დაავადების იმედი.

ცოფით იყო დაავადებული. ქალს არ ჩატარებია აუცილებელი ვაქცინაცია, მხოლოდ ქრილობა დაუმუშავეს. ცოფის სიმპტომები პაციენტს გამოუვლინდა მშობიარობის პროცესში. ორი დღის შემდეგ კი ქალი გარდაიცვალა. გასინჯეს რა ახალმობილი, ექიმებმა გაცოცხლებლად აღმოაჩინეს, რომ ბავშვი სრულიად ჯანმრთელი იყო. მედიკოსები ხსნიან, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი პატარას დაცვის თვალსაზრისით, ითამაშა პლაცენტამ. მიუხედავად ამისა, ექიმებმა იგი

მინც ანტირაბიული ვაქცინით აცრეს. ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ დღესდღეობით ცნობილი მხოლოდ ექვსი მსგავსი შემთხვევაა, როდესაც ცოფით დაავადებულმა ქალმა იმშობიარა. ხუთი მათგანი გადარჩა. მიუხედავად ამისა, რომ მსგავსი შემთხვევები იშვიათია, ისინი აუცილებელია აღიკვეთოს, აცხადებენ ექიმები.

<http://www.medicaldaily.com/rare-case-rabies-infection-new-born-383619>

საქველმოქმედო გამოფენაზე



6 მაისს, გორგობის დღესასწაულზე, თსსუ-ის ბიბლიოთეკის ფოიე ლამაზ ღონისძიებას მასპინძლობდა - საინტერესო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჩვენი უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკის და ბიოფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ხათუნა ინჭიკველის, ნამუშევრები. ქალბატონი ხათუნა არა მარტო ხელოვნების დიდი მოყვარულია, არამედ უნივერსიტეტში გამართული კონცერტებიდან რომანსების შესრულებითაც დაამახსოვრა თავი პუბლიკას. მუსიკისადმი მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას პროფესორული მუსიკალური განათლებაც განაპირობებს. რაც შეეხება გამოფენას, სადაც მის მიერ შექმნილი აპლიკაციები იყო წარმოდგენილი, როგორც თავად აღნიშნა, უყვარს ლამაზი და საინტერესო ნივთები: ქვების, დეკორატიული მინების, პეპლების, მარკების, მცენარეების, ნიჟარების და ა.შ. შეგროვება და, ვინაიდან ხატვა „არ გამოდის“, სცადა შეგროვილი მასალა ტილოზე გადაეტანა და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები შეექმნა.

გამოფენა სახელოვანი პათოლოგ-განატომის, მეცნიერის და პედაგოგის, პროფესორი თამარ დეკანოსიძის ხსოვნას მიძღვნილია: „ქალბატონი თამარი მკვდარ ქსოვილს სწავლობდა, მე, როგორც ბიოფიზიკოსი, - ცოცხალ უჯრედს. დიდი მეცნიერი სულ ცდილობდა კავშირის პოვნას ამ ორს შორის. იგი ბუნებით ქველმოქმედო ცხოველად, სწორედ ამიტომ გადაწყვიტე მისი და ჩემი სახელით ღონისძიებაზე შეგროვილი თანხა უნარშეზღუდული ბავშვების სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრ „აისის“ ანგარიშზე გადაირიცხოს“, - აღნიშნა ქალბატონმა ხათუნამ.

გამოფენაზე წარმოდგენილი სხვადასხვა თემაზე შექმნილი კომპოზიციები პოზიტიურ და სასიამოვნო განწყობას უტოვებდა მნახველს. აღდგომის შემდეგ ბუნებრივი იყო კვრცხის გამოყენებით შექმნილი აპლიკაციების სიმრავლე, რამაც განსაკუთრებით დააინტერესა დამთვალიერებელი. ყურადღებას იქცევდა ნიჟარებით, მცენარეებით, ყავის მარცვლებით შექმნილი კომპოზიციებიც... ნამუშევრების უმეტესობა სახელწოდების გარეშე შეიქმნა და ავტორი ცდილობდა თითოეული მათგანით გარკვეული ემოცია გადმოეცა, რაც ნამდვილად შეძლო და ისედაც სადღესასწაულო განწყობით გამორჩეული დიდ კიდევ უფრო გაულამაზა მნახველს.

ნატო ბოლქვაძე

საქართველოს ისტორიით დაინტერესებული აკითხველისთვის

კრწანისის ბრძოლაში განცდილი ქართველთა მარცხი და თავგანწირვა, მისი მიზეზები და შედეგები, არაერთხელ გამხდარა ქართველი ისტორიკოსების თუ მხატვრული სიტყვის ოსტატების განხილვის თემა. ამ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას წლების წინ გამოეხმაურა და ნაშრომი მიუძღვნა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, თსსუ-ის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორმა თეიმურაზ პეტრიაშვილმა, რომელიც უკვე კარგა ხანია ნაყოფიერად მოღვაწეობს საისტორიო მეცნიერებაში და განსაკუთრებით ერეკლე II-ის ეპოქის შესწავლითა და ინტერესებული.

„კრწანისის ნაბრძოლი ხმალი და ბატის ფრთის კალამი იოანე ბატონიშვილისა“...რამდენიმე წლის წინ დაიწერა, ახლახან კი ავტორმა ახალი ნიგნი — „კრწანისის ბრძოლა“ — შემოგვთავაზა. „ნაშრომის უდავო ღირსებად უნდა მივიჩნიოთ (ვალკუელი პროფესორისა თუ მოვლენის შეფასებისადმი ავტორის მიერ) ექვსი მიდგომა... თ. პეტრიაშვილი გვთავაზობს ერეკლეს პოლიტიკის უადრესად ობიექტურ და კარგად დასაბუთებულ შეფასებას, ახდენს რა მუფის მიმართ უმართებულო ბრალდებების კორექტირებას, ამავდროულად, იგი ახალბედას ამ უკანასკნელის მიერ დაშვებულ შეცდომებსაც ისე, რომ სრულიად გამორიცხავს საკუთარი, სუბიექტური აზრის მკითხველისთვის თავსმოხვევას...ნაშრომის უდავო ღირსებად მიგვაჩნია თანდარი

თული რუკები: ეს თვალსაჩინო მასალა განსაკუთრებით შეუნყობს ხელს ახალგაზრდა თაობის მკითხველთა დაინტერესებას საკუთარი ქვეყნის წარსულით. მნიშვნელოვანია, ასევე, საკითხის ირგვლივ არსებული წყაროების და ლიტერატურის ამომწურავი ჩამონათვალი და, რაც ყველაზე მთავარია, ავტორი საოცრად მიზიდველად, მაღალმხატვრული ლიტერატურული ენით გადმოსცემს სათქმელს.“ - აღნიშნავს თსსუ-ის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ლელა მიქიაშვილი, ნიგნის წინასიტყვაობაში.

ახალგამოცემული ნიგნი კარგი საჩუქარია ახალგაზრდობის და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.



„საქველმოქმედო გამოფენაზე“
რედაქცია
 ვაჟა-ფშაველას გამზირი №33,
 ოთახი №600,
 ტ.: 254-24-64

რედაქტორი
ლელა ზიყაშვილი
 კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
 ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
 ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
 ტ.:555 28 28 97

ელ-ფოსტა
newspapersmsu@gmail.com

ცოფით დაავადებულ დედას ჯანმრთელი შვილი შეეძინა

ჩინელმა ექიმებმა გამოაქვეყნეს სტატია ცოფით დაავადების იშვიათი შემთხვევის შესახებ. ცოფით დაავადების ეფექტური მეთოდი, სადღესიოდ, არ არსებობს. მათთვის, ვის სისხლშიც საშიში ვირუსი ხვდება, აუცილებელია ვაქცინაციის კურსის გავლა. და თუ ამ ღონისძიებას არ გავატარებთ, ავადმყოფობა პროგრესირდება და პაციენტი დაიღუპება.

25 წლის, 4 თვის ფეხმძიმე ჩინელი ძალღმა დაკბინა. ცხოველი

ცოფით იყო დაავადებული. ქალს არ ჩატარებია აუცილებელი ვაქცინაცია, მხოლოდ ქრილობა დაუმუშავეს. ცოფის სიმპტომები პაციენტს გამოუვლინდა მშობიარობის პროცესში. ორი დღის შემდეგ კი ქალი გარდაიცვალა. გასინჯეს რა ახალმობილი, ექიმებმა გაცოცხლებლად აღმოაჩინეს, რომ ბავშვი სრულიად ჯანმრთელი იყო. მედიკოსები ხსნიან, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი პატარას დაცვის თვალსაზრისით, ითამაშა პლაცენტამ. მიუხედავად ამისა, ექიმებმა იგი

მინც ანტირაბიული ვაქცინით აცრეს. ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ დღესდღეობით ცნობილი მხოლოდ ექვსი მსგავსი შემთხვევაა, როდესაც ცოფით დაავადებულმა ქალმა იმშობიარა. ხუთი მათგანი გადარჩა. მიუხედავად ამისა, რომ მსგავსი შემთხვევები იშვიათია, ისინი აუცილებელია აღიკვეთოს, აცხადებენ ექიმები.

<http://www.medicaldaily.com/rare-case-rabies-infection-new-born-383619>

